

შპს პურატოს საქართველო

ს/ნ 405447155

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „პურატოს საქართველო“ ს/კ „405447155“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 02/03/2021 წ.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად - 15/09/2021 წ.

1.2. კომპანიის მფლობელია: საჯარო პასუხისმგებლობის კომპანია პურატოს ენ.ვი 0438.632.416 /ზელგია/.

1.3. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ცხოვისა და საკონდიტრო პროდუქციის წარმოებისთვის ნედლეულის იმპორტი და რეალიზაცია.

1.4. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან

ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამოუმუშავების თარიღიდან მისი

გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,8068 ლარი;

1 EUR=2.9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	27	928	1251
ლარი საბანკო ანგარიშზე	220354	71054	69381
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	0	27	216
ევრო საბანკო ანგარიშებზე	35	106	101257
სულ:	220416	72115	172105

3.2. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მანქანა-დანადგარები	185105	208915	209025
ოფისის აღჭურვილობა	15186	23164	28157
ავეჯი და სხვა ინვენტარი	21825	29657	10112
ბიოლოგიური აქტივები	80	186	0

იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	300076	341334	122846
არამატერიალური აქტივები:	204784	313079	421082
სულ:	727056	916335	791222

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება
თვითღირებულების მოდელი.

3.3. გრძელვადიანი სესხები: 2491010 ლარი;
მოკლევადიანი სესხები: 9991 ლარი.

3.4. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
წესდების დადგენილი კაპიტალი	188475	188475	188475
დაუფარავი ზარალი	-973792	-791888	-10093
სულ:	-785317	-603413	178382

სასამართლო დავები:

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.



ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 30 ივნისს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	220,416	72,116	172,105
სხვა ქრონი და სხვა მოვალეობები	739,833	530,878	609,768
სხვა პირებსზე აღმსრულებელ და სხვებზე აღმსრულებელ ფულადი სახსრები	26,518	17,930	74,962
მარაგები	979,064	478,997	988,968
მზა პროდუქცია	968,901	465,317	987,278
სხვა	10,163	13,680	1,690
საინვესტიციო კომპანია	-	-	-
სხვა მოვალეობები აქტივები	-	-	-
სოციალური აქტივები	-	-	-
ფინანსური ინსტრუმენტების მოვალეობები	-	-	-
გადასახდელი მოვალეობები	-	-	-
გადასახდელი	-	-	-
სხვა არასტრუქტურული აქტივები	204,784	313,079	-
პირდაპირი ინვესტიციები	522,272	603,256	791,222
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოებში (ინსტრუმენტები)	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	2,692,887	2,016,256	2,637,025
ვალდებულებები			
საბიუჯეტო ვალდებულებები	-	-	-
სხვა ქრონი ვალდებულებები	939,726	697,295	691,392
ანაზღაურება	-	-	-
ვალდებულებები დანაშაურობის მიმართ	27,213	25,526	26,549
საგადასახდელი ვალდებულებები	10,264	15,181	-
გადასახდელი მოვალეობები	-	-	-
მოვალეობები მსესხებელ სახსრებზე	9,991	840,312	-
გრძელვადიანი მსესხებელი სახსრები	2,491,010	1,041,355	1,738,733
მოვალეობები გრძელვადიანი	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	1,969
სულ ვალდებულებები	3,478,204	2,619,669	2,458,643
საკუთარი კაპიტალი			
საბიუჯეტო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში "კაპიტალი", კომპანიაში შემთხვევაში "საბიუჯეტო კაპიტალი")	188,475	188,475	188,475
საინვესტიციო კაპიტალი	-	-	-
გადასახდელი საკუთარი აქტივები	-	-	-
გადასახდელი მოვალეობები / (გადასახდელი ზარალი)	(973,792)	(791,888)	(10,093)
გადასახდელი რეზერვები	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	(785,317)	(603,413)	178,382
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,692,887	2,016,256	2,637,025
სულ მოვალეობები ვალდებულებები	1,965,831	1,099,921	1,845,803
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	-	-	-

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო შემოსავალი	4,996,816	3,911,428
საფინანსო გადამხდელიდან	4,996,816	3,911,428
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(3,694,356)	(3,017,648)
საწესი მარგები	-	-
მარგების შესაღებად	-	-
უაღრესესიდან რანგირების	-	-
საბოლოო მარგები	-	-
საბოლოო მოგება	1,302,460	893,780
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაწყისიდან ანაზღაურება	(402,500)	(529,446)
გადასახდელი / ამორტიზაციის ხარჯი	(189,919)	(150,160)
სამრეზერვო შემოსავალი	-	-
სამრეზერვო ხარჯი	(123,537)	(87,863)
რეზერვის ხარჯი	-	-
გადასახდელი და სხვა საოპერაციო ხარჯი	(813,133)	(764,214)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,529,089)	(1,531,683)
საოპერაციო მოგება	(226,629)	(637,903)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური შედეგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური შედეგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
რეზერვების შექმნისგან / (დაბრუნება) / სხვა ფინანსური შედეგებიდან და საფინანსო სახსრების გაყიდვით	2,995	(87,784)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	45,585	(54,813)
მოგება / (ხარჯი) მოგებას გადასახდელის ხარჯთან დაკავშირებითი ფინანსური შედეგებიდან	(178,049)	(780,500)
მოგებას გადამხდელის ხარჯი	(3,855)	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ხარჯი	(181,904)	(780,500)
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი):		
ფინანსური საშუალებების (მათ შორის, ბილალური შედეგების) გადამხდელის რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის, ფინანსური შედეგების და შედეგების საფინანსო შედეგების გადამხდელის რეზერვი)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი), სხვა:	-	-
ფინანსური შედეგების შემოსავალი / (ხარჯი)	(181,904)	(780,500)
საერთო გამოტანილი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(603,413)	178,382
ანალიზების შემთხვევაში (შპს-ს შემთხვევაში 'გამოტანის გაზრდა', კომპერტივის შემთხვევაში 'საანგარიშგებო შემთხვევაში' (მათ შორის, ფინანსური შედეგები)	-	-
სხვა ფინანსური შედეგების გადამხდელის მოგებაში	-	(1,295)
გამოტანის სხვა ფინანსური შედეგები	-	-
საერთო გამოტანილი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(785,317)	(603,413)
გადასახდელი და გადამხდელის ხარჯები	-	-

